შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა"
შპს ,,თეგეტა მოტორსი''

# ხელშეკრულება №95

საქონლის შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი
07/06/2012

## ხელშეკრულების მხარეები:

ერთი მხრივ, შპს ,,მარაბდა-კარწახის რკინიგზა'' (შემდგომში - შემსყიდველი), მისი ადმინისტრაციის უფროსის გიორგი გოცირიძის სახით (შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზის" დირექტორის 2011 წლის 30 დეკემბრის №29 მინდობილობა) და მეორე მხრივ, შპს ,,თეგეტა მოტორსი'' (შემდგომში - მიმწოდებელი), მისი გენერალური დირექტორის გიორგი მშვილდაძის სახით, საქართველოს მთავრობის 27.12.2011წ. №498 დადგენილებით დამტკიცებული „შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზისთვის მომსახურებისა და საქონლის შესყიდვების სპეციალური წესის" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "ვ)" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1 შემსყიდველი მიმწოდებლისაგან ყიდულობს დანართი №1-ში მითითებულ საქონელს და მომსახურებას (საქონელი და მომსახურება შემდგომში ერთობლივად წოდებული როგორც ,,**საქონელი**'') წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

**მუხლი 2. სახელშეკრულებო ღირებულება და ანგარიშსწორება**

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 344 **(სამას ორმოცდაოთხი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით**.

2.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ მუხლის 2.1 პუნქტში აღნიშნული სახელშეკრულებო ღირებულების გაზრდა დაუშვებელია.

2.3 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდაზე.

2.4 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერისა და მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების წარდგენიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.

2.5 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ლარში.

2.6 ანგარიშსწორება განხორციელებულად ჩაითვლება საქონლის შესაბამისი ღირებულების მიმწოდებლის ანგარიშზე გადარიცხვის დღიდან.

**მუხლი 3. საქონლის ხარისხი**

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი სრულად დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

**მუხლი 4. საქონლის მიწოდებისა და სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადები**

4.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 10 **(ათი) სამუშაო დღის** განმავლობაში, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

**მუხლი 5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1 თუ საქონელი აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს, მაშინ მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

5.2 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

5.3 შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღების უფლებამოსილება ენიჭება შემსყიდველის თანამშრომელს გიორგი ორმოცაძეს (მოქალაქის პირადობის მოწმობა: №g1226190; პირადი №17001014066).

**მუხლი 6. საქონლის მიწოდების ადგილი**

6.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის ფაქტიური ადგილსამყოფელის მიხედვით.

**მუხლი 7. შემსყიდველის ძირითადი უფლება-მოვალეობანი**

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1 მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;
7.1.2 შეამოწმოს საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
7.1.3 მოსთხოვოს მიმწოდებელს ინფორმაცია საქონლის შესახებ.
7.2 შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

**მუხლი 8. მიმწოდებლის ძირითადი უფლება-მოვალეობანი**

8.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:
8.1.1 მოითხოვოს შემსყიდველისაგან საქონლის ღირებულების დროული გადახდა და ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება.
8.2 მიმწოდებელი ვალდებულია:
8.2.1 მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით;
8.2.2 ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

**მუხლი 9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

9.1 შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა.

**მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

10.1 მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხზე და ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსყიდველს ნებისმიერი ზიანი, რომელიც მას მიადგა საქონლის უხარისხობის გამო.
10.2 საქონლის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებილი დღისათვის.
10.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს საქონლის მიწოდების ვალდებულებისაგან.
10.4 ამ მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოების გადახდა ხორციელდება მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი საქონლის ღირებულებიდან შესაბამისი თანხის გამოქვითვის საშუალებით.

**მუხლი 11. ფორს-მაჟორი**

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებითა და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, ფორს-მაჟორის არსებობის თაობაზე სახელმწიფოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს დამადასტურებელი ცნობის (წერილის) თანდართვით, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს

ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული გზები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11.4 ფორს-მაჟორულ გარემოებად არ ჩაითვლება ისეთი მოვლენები, რომელთა მოსალოდნელი დადგომის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისი მხარისთვის, წინასწარ ცნობილი იყო და/ან წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო.

**მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა**

12.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

12.2 წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3 ამ მუხლის 12.2 პუნქტის შესაბამისად ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის მოთხოვნისას, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2012 წლის 30 ივლისის** ჩათვლით.

13.2 თუ შესაბამისი მხარისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით სახელშეკრულებო ვალდებულებები ვერ იქნება შესრულებული 13.1 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, მაშინ ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება გაგრძელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 14. დავების გადაწყვეტის წესი**

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

**მუხლი 15. უფლებების გადაცემა**

15.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

**მუხლი 16. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

16.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

**მუხლი 17. ხელშეკრულების შეწყვეტა**

17.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

17.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 5 კალენდარული დღით ადრე.

17.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

**მუხლი 18. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის**

18.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას, წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით, ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელექტროფოსტის, დეპეშის, ელექტრონული ფოსტის, ტელექსის, ან ფაქსის საშუალებით, იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს ან ხელშეკრულებაში მითითებულ იურიდიულ მისამართზე, საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

**მუხლი 19. დასკვნითი დებულებები.**

19.1 ხელშეკრულება შეიცავს 20 მუხლს, შედგენილია 6 ფურცელზე (დანართის ჩათვლით) 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

19.2 ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

**მუხლი 20. მხარეთა რეკვიზიტები**

20.1 შემსყიდველის რეკვიზიტები: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №150 (იურიდიული მისამართი); საიდენტ. კოდი 204522436, ს.ს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველო“. ა/ა GE31 AZ00 3450 0000005101, ბანკის კოდი 220101912.

20.2 მიმწოდებლის რეკვიზიტები: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ №5, ბ, ს/კოდი 202177205, ს.ს "თიბისი ბანკი" ა/ა GE80TB0600000024467853, ბანკის კოდი 220101830. ტელეფონი +99532244444, ფაქსი +99532244444.

**მხარეთა ხელმოწერები:**

| **შემსყიდველი:** | **მიმწოდებელი:** |
|---|---|
| **ადმინისტრაციის უფროსი**<br>**გიორგი გოცირიძე** | **გენერალური დირექტორი**<br>**გიორგი შშვილიძე** |

შპს ,,თეგეტა მოტორსის'' მიერ შპს ,,მარაბდა-კარწახის რკინიგზისათვის''
მისაწოდებელი საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი და ფასები

| № | საქონლის (მომსახურების) დასახელება | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება ლარში (დღგ-ს ჩათვლით) | საერთო ღირებულება ლარში (დღგ-ს ჩათვლით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | **Mitsubishi** Pajero (**NVN850**)-ის ძრავის ზეთი **5W40 Helix Ultra 209L** | 5 ლ | 20.00 | 100.00 |
| 2 | **Mitsubishi** Pajero (**NVN850**)-ის ზეთის ფილტრი | 1 ც | 9.00 | 9.00 |
| 3 | **Mitsubishi** Pajero (**NVN850**)-ის ჰაერის ფილტრი | 1 ც | 25.00 | 25.00 |
| 4 | **Mitsubishi** Pajero (**NVN850**)-ის წინა სამუხრუჭე ხუნდი **MMC Pajero GDB3246** | 1 კომპ. | 100.00 | 100.00 |
| 5 | **Mitsubishi** Pajero (**NVN850**)-ის უკანა სამუხრუჭე ხუნდი **Pajero 3, 4 GDB3247** | 1 კომპ. | 75.00 | 75.00 |
| 6 | ძრავის ზეთის, ზეთის ფილტრის, ჰაერის ფილტრის, სამხრუჭე ხუნდების შეცვლის მომსახურება | | 35.00 | 35.00 |
| | | | | 344.00 |

**მხარეთა ხელმოწერები:**

**შემსყიდველი:**

**ადმინისტრაციის უფროსი**
**გიორგი გოცირიძე**

**მიმწოდებელი:**

**გენერალური დირექტორი**
**გიორგი მშვილდაძე**